

## სახაზინო სამსახურის

### ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

## საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-ივნისის შემოსავლებისა და ხარჯების შესრულების შესახებ

### სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები

საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და გრანტების 2004 წლის იანვარ-ივნისის საპროგნოზო მოცულობა (ცენტრალური ბიუჯეტის საბიუჯეტო ორგანიზაციების სოციალური გადასახადების გარეშე) საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული განწერის შესაბამისად განისაზღვრა 614458.0 ათასი ლარის ოდენობით.

£ ბიუჯეტის შემოსულობებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე აღებული ვალდებულებების, აგრეთვე, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესაბამისად სახელმწიფო ხაზინაში სახელმწიფო ფინანსების მართვის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული რეფორმის დანერგვის მიზნით 2004 წლის 13 მარტს საქართველოს მთავრობამ მიიღო საგანგებო დადგენილება №3 „სახელმწიფო ხაზინის მიერ სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშებისა და ანგარიშსწორებათა განხორციელებისა და ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშების შესახებ” და დაამტკიცა შესაბამისი პროცედურების განხორციელების სპეციალური ინსტრუქცია. ჰ

დადგენილების თანახმად, სახაზინო სამსახური 2004 წლის 5 აპრილიდან ახორციელებს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშებას და ანგარიშსწორებას, რამაც ხელი შეუწყო ბიუჯეტის შემოსულობების სრულყოფილად აღრიცხვას შესაბამის ბიუჯეტებში, რათა უფრო დეტალური ინფორმაცია მიგვეღო მობილიზებულ შემოსავლებზე ახალი კლასიფიკაციის მიხედვით.

2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და გრანტების იანვარ-ივნისის საპროგნოზო მაჩვენებლიდან (614458.0 ათასი ლარი, ცენტრალური ბიუჯეტის საბიუჯეტო ორგანიზაციების სოციალური გადასახადების გარეშე) საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლებისა და გრანტების სახით ფაქტიურად მიღებული იქნა 699737.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო პარამეტრის 114%-ს შეადგენს.

მათ შორის, ცენტრალური ბიუჯეტის ნაწილში საბიუჯეტო შემოსავლებისა და გრანტების საპროგნოზო პარამეტრი განისაზღვრა 435644.0 ათასი ლარით, საიდანაც ფაქტიურად მიღებული იქნა 509986.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 117%-ს შეადგენს.

2004 წლის იანვარ-ივნისში ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო პარამეტრებიდან საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 353782.0 ათასი ლარის ოდენობით. აქედან, 1 ივლისის მდგომარეობით სახაზინო სამსახურის ანგარიშებზე ჩარიცხული იქნა 372924.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის 105%. ცენტრალური ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულება შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საშემოსავლო გადასახადიდან ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების იანვარ-ივნისის საპროგნოზო მაჩვენებელმა შეადგინა 14400.0 ათასი ლარი, საიდანაც სახაზინო სამსახურის საბიუჯეტო ანგარიშებზე მიღებული იქნა 16387.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 114%;

საანგარიშო პერიოდში მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელმა 6900.0 ათასი ლარი შეადგინა, ფაქტობრივად ცენტრალურ ბიუჯეტში მიღებული იქნა 11311.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 164%;

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელმა შეადგინა 227621.0 ათასი ლარი, სახაზინო სამსახურის ანგარიშებზე მიღებული იქნა 235842.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 104%. მათ შორის:

—საგადასახადო დეპარტამენტიდან დღგ-ს საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 110284.0 ათასი ლარით, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 111857.0 ათასი ლარი, ანუ იანვარ-ივნისის საპროგნოზო მაჩვენებლის 101%;

—საბაჟო დეპარტამენტიდან დღგ-ს საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 117338.0 ათასი ლარით, საიდანაც მიღებული იქნა 123985.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის მაჩვენებლის 106%. აქციზის სახით ნაცვლად საპროგნოზო მაჩვენებლით განსაზღვრული 63689.0 ათასი ლარისა, ფაქტიურად მიღებული იქნა 66858.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 105%. მათ შორის: —საგადასახადო დეპარტამენტიდან აქციზის სახით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელმა შეადგინა 21130.0 ათასი ლარი, ფაქტობრივად მიღებული იქნა 21637.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 102%;

—საბაჟო დეპარტამენტიდან აქციზიდან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა 42559.0 ათასი ლარით, ფაქტიურად მიღებული იქნა 45220.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 106%. აქედან: საავტომობილო ბენზინის აქციზიდან ცენტრალურ ბიუჯეტში მიღებული იქნა 17191.0 ათასი ლარი, სხვა ნავთობპროდუქტებიდან —6033.0 ათასი ლარი, თამბაქოს ნაწარმიდან —19560.0 ათასი ლარი, სხვა აქციზური პროდუქციიდან —2437.0 ათასი ლარი;

საბაჟო გადასახადიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელმა შეადგინა 38322.0 ათასი ლარი, ცენტრალურ ბიუჯეტში

მიღებული იქნა 41795.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 109%; ფიქსირებული გადასახადიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 158.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (504.0 ათასი ლარი) 31%-ია; მცირე ბიზნესის გადასახადიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 236.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის (2346.0 ათასი ლარი) 10%-ია; სხვა გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინეს 337.0 ათასი ლარი.

მთლიანობაში, 2004 წლის იანვარ-ივნისში ცენტრალურ ბიუჯეტში მობილიზებული საგადასახადო შემოსავლებიდან საბაჟო დეპარტამენტის მიერ საპროგნოზო მაჩვენებლით განსაზღვრული 198219.0 ათასი ლარის ნაცვლად მობილიზებული იქნა 211001.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 106%, ხოლო საგადასახადო დეპარტამენტის მიერ საპროგნოზო მაჩვენებლით განსაზღვრული 155564.0 ათასი ლარი, ფაქტობრივად მობილიზებული იქნა 161923.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 104%.

რაც შეეხება საანგარიშო პერიოდში საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში მიღებულ არასაგადასახადო შემოსავლებს, საანგარიშო პერიოდში ამ სახის შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 62031.0 ათასი ლარით, სახაზინო სამსახურის ანგარიშებზე მიღებული იქნა 117888.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 190%. მათ შორის:

– ეროვნული ბანკის მოგებიდან მიღებული იქნა 12000.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის (12000.0 ათასი ლარი) 100%;

– გაცემული კრედიტების დაბრუნებიდან, სახელმწიფო სესხის პროცენტი (სარგებელი), გაცემული სესხის დაფარვის ვადების დარღვევისათვის გადახდილი საურავებიდან ნაცვლად გეგმით განსაზღვრული 9085.0 ათასი ლარისა, მიღებული იქნა 8576.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის 94%;

– სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების დივიდენდებიდან მიღებული იქნა 2416.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო პარამეტრის (2226.0 ათასი ლარი) 109%-ია;

– სახელმწიფო ქონების იჯარიდან (შემოსავალი არაძირითადი (თანმდევი) გაყიდვიდან) მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 634.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის (500.0 ათასი ლარი) 127%;

– სხვა არასაგადასახადო შემოსავლებმა (მოსაკრებლები, ჯარიმებითა და სანქციებით მიღებული შემოსავლები, სხვა არასაგადასახადო შემოსავლები) შეადგინა 94262.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის (38220.0 ათასი ლარი) 247%. ]

კაპიტალური შემოსავლების საპროგნოზო პარამეტრმა შეადგინა 4671.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 2162.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 46%.

უცხოეთიდან გრანტების სახით 2004 წლის იანვარ-ივნისში ფაქტობრივად მიღებული იქნა 17014.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (15160.0 ათასი ლარი) 112%-ია. მათ შორის:

– მსოფლიო ბანკისა და სხვა დონორების გრანტებმა ინვესტიციურ პროექტებზე შეადგინა 2359.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო პარამეტრის (3249.0 ათასი ლარი) 72%-ია.

– სხვა გრანტების სახით მიღებული იქნა 14655.0 ათასი ლარი, ანუ საგეგმო მაჩვენებლის (11911.0 ათასი ლარი) 123%-ია.

რაც შეეხება სპეციალურ სახელმწიფო ფონდებში მიღებულ შემოსავლებს, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შემოსავლებმა ცენტრალური ბიუჯეტის საბიუჯეტო ორგანიზაციების სოციალური გადასახადების გარეშე და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში (1 იანვრიდან – 5 აპრილამდე) მობილიზებული სოციალური ანარიცხების ჩათვლით შეადგინა 156491.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის (149740.0 ათასი ლარი) 105%. სახელმწიფო საგზაო ფონდში საანგარიშო პერიოდში მობილიზებულმა სახსრებმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (1 იანვრიდან – 5 აპრილამდე) მობილიზებული შემოსავლების გარეშე (1563.0 ათასი ლარი) შეადგინა 33260.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის (29074.0 ათასი ლარი) 114%.

### **ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროები**

„საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით 2004 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული ოდენობა განისაზღვრა 307130.0 ათასი ლარით. მათ შორის: 1. საშინაო წყაროებიდან–31500.0 ათასი ლარი. აქედან:

– 26500.0 ათასი ლარი საქართველოს ეროვნული ბანკისადმი საქართველოს მთავრობის წმინდა დავალიანების ზრდა;

– 5000.0 ათასი ლარი საქართველოს სახელმწიფოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოსაშვები სახაზინო განთავსების გზით მობილიზებული სახსრები.

2. საგარეო წყაროებიდან მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და უცხო სახელმწიფოთა მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოსაყოფი ინვესტიციური ხასიათის გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტების ზღვრული მოცულობა განისაზღვრა 275630.0 ათასი ლარი.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად 2004 წლის იანვარ-ივნისში გამოყენებული რესურსების ოდენობამ შეადგინა სულ 94777.0 ათასი ლარი. აქედან,

ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებისათვის საშინაო წყაროებიდან ფაქტიურად მიიმართა 21260.0 ათასი ლარი (სახაზინო ვალდებულებების განთავსების გზით ცენტრალური ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად მიღებული შემოსავლები).

ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების საგარეო წყაროებს, საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების სახით მიმდინარე წლის იანვარ-

ივნისში, ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საგარეო ვალის დეპარტამენტის ინფორმაციით მიღებული იქნა 73517.0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხები პირდაპირ ირიცხება შესაბამისი ინვესტიციური პროექტების განმახორციელებელი რგოლების მომსახურე კომერციული ბანკების ანგარიშებზე, საიდანაც მიმდინარეობს მათი ხარჯვა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2004 წლის პირველი იანვრისთვის არსებული გარდამავალი საბრუნავი სახსრების ფაქტობრივად არსებულმა ოდენობამ შეადგინა 15258.2 ათასი ლარი. აქედან, სახელმწიფო საგზაო ფონდის არსებულმა გარდამავალმა საბრუნავმა სახსრებმა შეადგინა 1695.8 ათასი ლარი; სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის—5396.9 ათასი ლარი; ცენტრალური ბიუჯეტის—8165.5 ათასი ლარი.

ამასთან, უნდა აღინიშნოს რომ, ეროვნული ბანკის დასკვნითი ბრუნვით, ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების 101 ანგარიშზე 2003 წლის 14 იანვარს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან გადმორიცხული 21 ათასი ლარით, შეტანილი იქნა შესწორება და გაზრდილი იქნა გარდამავალი საბრუნავი სახსრების ანგარიშზე რიცხული ნაშთი. ეროვნული ბანკის მიერ შემოსავლების №412 ფორმაში, აღნიშნული თანხიდან 18 ათასი ლარი ასახული იყო, როგორც საგზაო ფონდის 2003 წლის შემოსავალი, ხოლო ფულადი სახსრები აღრიცხული იქნა, როგორც ცენტრალური ბიუჯეტის გარდამავალი საბრუნავი სახსრები. ეროვნულმა ბანკმა აღნიშნულის დაზუსტება და გატარების გასწორება განახორციელა მიმდინარე წლის 27 მარტს, რამაც გამოიწვია შესაბამისად 18 ათასი ლარით საგზაო ფონდის საწყისი ნაშთის გაზრდა და ცენტრალური ბიუჯეტის გარდამავალი ნაშთის იგივე თანხით შემცირება.

## ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯები

„საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით დამტკიცებული ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების კვარტალური განწერის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2004 წლის 8 ივნისის დამტკიცებული განწერით, 2004 წლის იანვარ-ივნისში ცენტრალური ბიუჯეტის საბიუჯეტო შემოსავლებიდან გასაწევი ხარჯების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 669058.8 ათასი ლარი. აქედან, საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 17 ოქტომბრის №1307 განკარგულებით დამტკიცებული „ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების კონტროლი ვალდებულებისა და დამოწმების მეშვეობით“ ინსტრუქციის მიხედვით მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 508636.0 ათასი ლარი, დამოწმების ოდენობამ შეადგინა 495559.3 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 571587.3 ათასი ლარი (გაწეულ ხარჯებში ჩართულია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ინვესტიციური პროექტების დაფინანსების თანხა 73517.0 ათასი ლარი,

რომელიც არ ითვალისწინებს ვალდებულებისა და დამოწმების რეგისტრაციას), რაც დაგეგმილ ოდენობასთან მიმართებაში 97471.5 ათასი ლარით ნაკლებია და მის 85%-ს შეადგენს.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალური ბიუჯეტის იანვარ-ივნისის ხარჯებში ასახული არ არის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განლაგებული ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების დასაფინანსებლად გადარიცხული 729.0 ათასი ლარი, ვინაიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი არ იქნა შესაბამისი თანხის განაწილება ადმინისტრაციული და ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით. ა

ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მიმდინარე წლის 7 აპრილის №05-1/16 წერილით, სახაზინო სამსახურში წარმოდგენილია ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებზე 2004 წლის 1 იანვრიდან 6 აპრილამდე გაწეული ხარჯები (ინფორმაცია ცალკე დანართის სახით თან ერთვის), რომლის დაფინანსება განხორციელდა ცენტრალური ბიუჯეტის კუთვნილი ადგილზე დატოვებული სახსრებიდან.

აღნიშნული მონაცემები დასტურდება ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი წერილებით, რომლის შესაბამისად 2004 წლის 1 იანვრიდან 6 აპრილამდე ავტონომიურ რესპუბლიკაში ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებზე გაწეულმა ხარჯებმა (ცენტრალური ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხის ჩათვლით) 2088.9 ათასი ლარი შეადგინა.

ამასთან, აჭარის რეგიონალური ხაზინის გახსნის შემდეგ ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვა მიმდინარეობს არსებული მექანიზმით.

2004 წლის იანვარ-ივნისში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების გასაცემად ცენტრალური ბიუჯეტიდან განსაზღვრული იყო 85469.0 ათასი ლარის გამოყოფა. ფაქტიურად ამ მიზნით რეგისტრირებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 76900.4 ათასი ლარი, დამოწმების ოდენობამ შეადგინა 76890.1 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 75692.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო პარამეტრის 89%-ს შეადგენს. აქედან, 10778.1 ათასი ლარი გაცემული იქნა წინა პერიოდის დავალიანება სახელფასო დავალიანებების დასაფარავად გამოყოფილი ასიგნებებიდან.

შრომის ანაზღაურებაზე დარიცხული სოციალური ანარიცხების სახით იანვარ-ივნისში ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებანი შეადგენდა 14376.7 ათას ლარს. ცენტრალურ ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციების მიერ დამქირავებელთა ანარიცხების სახით საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული ვალდებულების ოდენობამ შეადგინა 12158.5 ათასი ლარი, დამოწმების ოდენობამ შეადგინა 12147.3 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურად გადახდილი იქნა 11879.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო პარამეტრის 83%-ს შეადგენს. აქედან, 1898.5 ათასი ლარი გაცემული იქნა

წინა პერიოდის დავალიანება სოციალური ანარიცხების დასაფარავად გამოყოფილი ასიგნებებიდან.

მივლინებებისათვის გათვალისწინებული იყო 4173.5 ათასი ლარის გამოყოფა, აღებული ვალდებულების ოდენობამ შეადგინა 4126.0 ათასი ლარი, დამოწმების ოდენობამ 4077.3 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურად მივლინებებზე საანგარიშო პერიოდში გაცემულმა თანხამ შეადგინა 3974.6 ათასი ლარი (გეგმიური მაჩვენებლის 95%). ააქედან: საქართველოს პარლამენტს გამოეყო 254.5 ათასი ლარი; თავდაცვის სამინისტროს—366.4 ათასი ლარი; საგარეო საქმეთა სამინისტროს—452.2 ათასი ლარი; შინაგან საქმეთა სამინისტროს—379.0 ათასი ლარი; სახელმწიფო კანცელარიას—1003.8 ათასი ლარი; განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტროს—10.6 ათასი ლარი; იუსტიციის სამინისტროს—14.1 ათასი ლარი; ფინანსთა სამინისტროს—190.2 ათასი ლარი; სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურს—287.0 ათასი ლარი; საკონსტიტუციო სასამართლოს—7.3 ათასი ლარი; უშიშროების საბჭოს—75.8 ათასი ლარი; უშიშროების სამინისტროს—105.3 ათასი ლარი; ცენტრალური საარჩევნო კომისიას—31.6 ათასი ლარი; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს—4.0 ათასი ლარი; სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს—18.2 ათასი ლარი; პროკურატურას—34.4 ათასი ლარი; საერთო სასამართლოებს—1.0 ათასი ლარი; უზენაეს სასამართლოს—11.3 ათასი ლარი; კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს—5.5 ათასი ლარი; ეკონომიკის სამინისტროს—58.4 ათასი ლარი; სოფლის მეურნეობის სამინისტროს—21.3 ათასი ლარი; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს—12.0 ათასი ლარი; პრეზიდენტის ადმინისტრაციას—554.2 ათასი ლარი; კონტროლის პალატას—20.2 ათასი ლარი; პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მხარეში—0.5 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს—5.1 ათასი ლარი; მეცნიერებათა აკადემიას—48.3 ათასი ლარი; სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერთიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტს—2.3 ათასი ლარი.

„სხვა საქონელი და მომსახურების“ კატეგორიიდან იანვარ-ივნისში დაგეგმილი იყო 102446.3 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 99397.2 ათასი ლარი, დამოწმების ოდენობამ შეადგინა 96245.6 ათასი ლარი, ხოლო რეალურად გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 94275.3 ათას ლარს, რაც საგეგმო პარამეტრის 92%-ია. ამ კატეგორიიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვების ხარჯების მუხლით გაწეული ხარჯები. 2004 წლის ექვს თვეში ცენტრალური ბიუჯეტიდან კვების ხარჯების სახით განსაზღვრული ასიგნებანი შეადგენდა 8445.8 ათას ლარს. აღნიშნული ასიგნებების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულების ოდენობამ შეადგინა 7460.5 ათასი ლარი, დამოწმების ოდენობამ შეადგინა 6751.0 ათასი ლარი, ხოლო ამ მიზნით ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 6606.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 78%-ს შეადგენს.

სხვა საქონელი და მომსახურების კატეგორიიდან გაწეული დანარჩენი ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

- ოფისის ხარჯები: ვალდებულება - 6318.7 ათასი ლარი, დამოწმება - 5771.1 ათასი ლარი, საკასო ხარჯი - 5674.8 ათასი ლარი, დავალიანება - 96.3 ათასი ლარი;
- კომუნალური ხარჯები: ვალდებულება - 15268.0 ათასი ლარი, დამოწმება - 14861.1 ათასი ლარი, საკასო ხარჯი - 14737.9 ათასი ლარი, დავალიანება - 123.2 ათასი ლარი;
- მედიკამენტების შეძენის ხარჯები: ვალდებულება - 240.3 ათასი ლარი, დამოწმება - 216.5 ათასი ლარი, საკასო ხარჯი - 207.9 ათასი ლარი, დავალიანება - 8.5 ათასი ლარი;
- რბილი ინვენტარი და უნიფორმის ხარჯები: ვალდებულება - 1991.8 ათასი ლარი, დამოწმება - 1913.9 ათასი ლარი, საკასო ხარჯი - 1913.5 ათასი ლარი, დავალიანება - 0.4 ათასი ლარი;
- ტრანსპორტისა და ტექნიკის შენახვის ხარჯები: ვალდებულება - 14508.2 ათასი ლარი, დამოწმება - 13949.4 ათასი ლარი, საკასო ხარჯი - 13874.7 ათასი ლარი;
- სპეციალური პროგრამების მომსახურების ხარჯები: ვალდებულება - 4775.7 ათასი ლარი, დამოწმება - 4728.5 ათასი ლარი, საკასო ხარჯი - 4727.6 ათასი ლარი, დავალიანება - 0.9 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯები: ვალდებულება - 48834.0 ათასი ლარი, დამოწმება - 48054.3 ათასი ლარი, საკასო ხარჯი - 46532.2 ათასი ლარი, დავალიანება - 1522.1 ათასი ლარი.

ამასთან, მნიშვნელოვანია სხვა საქონელი და მომსახურების მუხლიდან გაწეული ხარჯების განხილვა თემატურად. კერძოდ, „სხვა საქონელი და მომსახურების“ კატეგორიაში გათვალისწინებული ასიგნებებიდან ხორციელდება საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა დაფინანსებაც. შესაბამისად, იანვარ-ივნისში საელჩოების შენახვისათვის გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 14985.5 ათასი ლარი, საიდანაც დაფინანსებული იქნა 14468.0 ათასი ლარი (მოიცავს დიპლომატიური კორპუსის სახელფასო და საცხოვრებელ ხარჯებს). ორგანიზებულად ჩასახლებულ დევნილთა კომუნალური ხარჯების (მოხმარებული ელექტროენერჯისა და წყლის ღირებულების ანაზღაურება, ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებზე დასაქმებული პერსონალის ხელფასები) ასანაზღაურებლად გამოიყო 6299.0 ათასი ლარი, საიდანაც 5922.3 ათასი ლარი მიიმართა ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებში ლტოლვილთა მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების ანაზღაურებისათვის, ხოლო 376.7 ათასი ლარი მოხმარებული წყლის ღირებულების ანაზღაურებისთვის.

ამავე მუხლის ანგარიშში წინა წლებში წარმოქმნილ დავალიანებებზე დაკისრებული თანხების სახით სასამართლოს გადაწყვეტილებათა



შესაბამისად ცენტრალური ბიუჯეტის ანგარიშებიდან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროს საინკასო დავალებით, იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა 94.7 ათასი ლარი. მათ შორის, 15.5 ათასი ლარი ჩამოჭრილი იქნა საბიუჯეტო ორგანიზაციების მომსახურე სხვადასხვა ორგანიზაციების სასარგებლოდ, ხოლო 79.2 ათასი ლარი ჩამოჭრილი იქნა ფიზიკური პირების სასარგებლოდ. დავალიანებათა ჩამოწერის შესახებ წერილობით ეცნობათ შესაბამის სამინისტროებს, რომელთა დავალიანების დაფარვაც განხორციელდა სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. აღნიშნული თანხების პროგრამულად გატარება ხდება ჩამოჭრის შემდეგ ვალდებულებისა და დამოწმების ხელოვნურად გატარებით.

სუბსიდიებისა და მიმდინარე ტრანსფერების კატეგორიიდან მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში დაგეგმილი იყო 253897.1 ათასი ლარის გამოყოფა. საანგარიშო პერიოდში ამ მუხლიდან აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 188732.0 ათასი ლარი, დამოწმების ოდენობამ შეადგინა 186136.7 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯებმა შეადგინა 213801.3 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი ოდენობის 84%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლიდან ძირითადად ხორციელდება სახელფასო და სოციალური ვალდებულებების დაფარვა.

მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში ცენტრალური ბიუჯეტიდან ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს ტრანსფერის სახით გადაერიცხათ 55971.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის (56993.6 ათასი ლარი) 98%. მათ შორის, სოციალურ ტრანსფერზე მიიძარათ 55854.6 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებლის (56791.6 ათასი ლარი) 98%, ხოლო სპეციალურ ტრანსფერზე—117.0 ათასი ლარი, დაგეგმილი ოდენობის (202.0 ათასი ლარი) 58%-ა. ამავე მუხლიდან დევნილთა შემწეობების დაფარვაზე მიიძარათ 26261.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის (26488.0 ათასი ლარი) 99%.

სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გადაცემული ტრანსფერების საერთო მოცულობამ შეადგინა 30977.0 ათასი ლარი. მათ შორის:

- 23777.0 ათასი ლარი ტრანსფერი პენსიებზე;
- 7200.0 ათასი ლარი ტრანსფერი უმწეოთა (სოციალური) დახმარებებზე.

ამასთან, სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გადარიცხულ ტრანსფერში ასახულია 16.0 მლნ ლარი, რომელიც გადაირიცხა წინა პერიოდის საპენსიო დავალიანების დასაფარავად „ზოგიერთი საბიუჯეტო ხარჯის დაფინანსების დამატებითი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის მიმდინარე წლის 26 აპრილის №348 განკარგულების შესაბამისად.

სუბსიდიებისა და ტრანსფერების მუხლიდან საანგარიშო პერიოდში კულტურის დაწესებულებები დაფინანსდა 6741.6 ათასი ლარით, რაც გეგმიური მაჩვენებლის (7344.6 ათასი ლარი) 92%-ია; საქართველოს ტელევიზიას და რადიომაუწყებლობას გამოეყო 5735.3 ათასი ლარი ანუ გეგმიური მაჩვენებლის (6600.0 ათასი ლარი) 87%; ენერგო სისტემის

სუბსიდირებისათვის გამოყოფილი იქნა 2582.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (17283.0 ათასი ლარი) 15%-ია.

კაპიტალური ხარჯების მუხლით მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 9905.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (გეგმა -12928.5 ათასი ლარი, ვალდებულება - 10263.7 ათასი ლარი, დამოწმება-10013.4 ათასი ლარი) 77%-ს შეადგენს. აქედან: შინაგან საქმეთა სამინისტროს კაპიტალური ხარჯებისათვის გამოეყო 5632.3 ათასი ლარი, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს-1044.7 ათასი ლარი; ფინანსთა სამინისტროს-594.6 ათასი ლარი; საქართველოს პარლამენტს-119.6 ათასი ლარი; ცენტრალურ საარჩევნო კომისიას-16.2 ათასი ლარი; საერთო სასამართლოებს-70.8 ათასი ლარი; იუსტიციის სამინისტროს-176.3 ათასი ლარი; უშიშროების სამინისტროს-1531.8 ათასი ლარი; თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს-0.5 ათასი ლარი; თავდაცვის სამინისტროს-410.5 ათასი ლარი; კონტროლის პალატას-0.7 ათასი ლარი; სოფლის მეურნეობის სამინისტროს-74.0 ათასი ლარი; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს-11.9 ათასი ლარი; გენერალურ პროკურატურას-12.4 ათასი ლარი; პრეზიდენტის ადმინისტრაციას-10.8 ათასი ლარი; ეროვნული უშიშროების საბჭოს-4.4 ათასი ლარი; მთავრობის კანცელარიას-21.3 ათასი ლარი; ეკონომიკის სამინისტროს-143.3 ათასი ლარი; საგარეო საქმეთა სამინისტროს-29.1 ათასი ლარი.

რაც შეეხება სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებას, საანგარიშო პერიოდში საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და საგარეო ვალის ძირითადი თანხის დაფარვისათვის მიიმართა 67772.2 ათასი ლარი (ექვსი თვის გეგმა - 73482.2 ათასი ლარი). აქედან, სესხის მომსახურების თანხამ შეადგინა 27126.5 ათასი ლარი, ხოლო საკუთრივ საგარეო ვალის ძირითადი თანხის დაფარვამ შეადგინა 40645.6 ათასი ლარი.

საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის იანვარ-ივნისში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები შეადგენდა 49894.6 ათას ლარს, რაც გეგმიური მაჩვენებლის (51510.0 ათასი ლარი) 97%-ია. (აღნიშნული ხარჯების ჩამოჭრა სახაზინო სამსახურის საბიუჯეტო ანგარიშიდან ეროვნული ბანკის მიერ ხორციელდება ავტომატური წესით). მათ შორის:

-ეროვნული ბანკის სესხის მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტის ანგარიშიდან ჩამოიწერა 36842.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის (38110.0 ათასი ლარი) 96.7%;

-სახაზინო ვალდებულებების დისკონტის ხარჯებმა შეადგინა 13051.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (13400.0 ათასი ლარი) 97%-ია.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე ხაზინაში ვალდებულების დოკუმენტს წარადგენს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საშინაო ვალის დეპარტამენტი, რომლის მიერ ვალდებულების დოკუმენტი წარმოდგენილი იქნა ხაზინაში დაგვიანებით, რის გამოც ვერ მოხერხდა მისი დარეგისტრირება და შესაბამისად იანვარ-ივნისის ანგარიშში ასახვა.

ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საგარეო ვალის დეპარტამენტის ინფორმაციით, ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ანგარიშში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ ინვესტიციური პროექტების დაფინანსებისათვის გამოყოფილი ინვესტიციური კრედიტებისა და მისი თანმხლები გრანტების საფუძველზე შესაბამისი კომერციული ბანკების ანგარიშებიდან ექვს თვეში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინეს 73517.0 ათასი ლარი.

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ინვესტიციური პროექტების ხაზით გაწეული ხარჯების ნაწილში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რადგანაც აღნიშნული ხარჯების გაწევა არ ხორციელდება სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან, ამ ნაწილში საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 17 ოქტომბრის №1307 განკარგულებით დამტკიცებული „ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების კონტროლი ვალდებულებისა და დამოწმების მექანიზმით“ ინსტრუქცია ვალდებულებისა და დამოწმების რეგისტრაციას არ ითვალისწინებს. შესაბამისად, ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების შესრულების თანდართული დანართის შესაბამის გრაფაში ხარჯების ზემოაღნიშნული მიმართულებების ნაწილში ნაჩვენებია მხოლოდ გეგმიური და საკასო ხარჯების მონაცემები.

ეღსანიშნავია, რომ ივნისის ბოლოს ცენტრალური ბიუჯეტის ანგარიშებზე მიღებული თანხების სრულად ათვისება ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში ვერ მოესწრო და 1 ივლისის მდგომარეობით სახაზინო სამსახურის ბიუჯეტის სალარე ანგარიშებზე არსებული გარდამავალი ნაშთი დაფიქსირდა 41640.7 ათასი ლარის ოდენობით, რაშიც ასახულია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განლაგებული საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დასაფინანსებლად გადარიცხული 729.0 ათასი ლარი. ა

ამასთან, უნდა აღინიშნოს რომ, გარდამავალ ნაშთში ასევე ასახულია 90.3 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ ბანკში გახსნილი ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისათვის გახსნილ ანგარიშზე რიცხული ნაშთი, რომელიც ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგიონალური ხაზინის გახსნასთან დაკავშირებით სახაზინო სამსახურის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე დახურული იქნა ეროვნული ბანკის მიერ და ანგარიშზე რიცხული ნაშთი გადმორიცხა სახაზინო სამსახურის ხარჯების ანგარიშზე. ვგადმორიცხული თანხა შემცირდა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი წერილის საფუძველზე 3.3 ათასი ლარით. აღნიშნული თანხის გეგმა, რომელიც შესაბამისად დაფინანსდა ავტონომიური რესპუბლიკიდან სამინისტროს მიერ გადმოტანილი იქნა სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტის გეგმაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, თავისუფალმა ნაშთმა გადმორიცხული თანხიდან 87.0 ათასი ლარი შეადგინა. ა

ამდენად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით რეალურად 1 ივლისის მდგომარეობით სახაზინო სამსახურის სალარე ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთმა 40911.7 ათასი ლარი შეადგინა.

ასევე, პირველი ივლისის მდგომარეობით ბიუჯეტის სავალუტო ანგარიშზე არსებულმა ნაშთმა სხვადასხვა უცხოურ ვალუტაში შესაბამისი ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში შეადგინა 737.3 ათასი ლარი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, რიგი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ 2003 წელს გამოყოფილი თანხები მიმდინარე წლის დასაწყისში დაბრუნებული იქნა სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტის ანგარიშზე, ვინაიდან ამ ორგანიზაციების მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად არ იქნა გაწეული შესაბამისი მომსახურება. 2003 წელს გამოყოფილი თანხებიდან საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ 2004 წლის 1 ივლისის მდგომარეობით დაბრუნებული იქნა 428.6 ათასი ლარი. აღნიშნული თანხები ორგანიზაციების წერილობითი მომართვის საფუძველზე მიმდინარე წელს მიმართული იქნა ცენტრალური ბიუჯეტის „წინა წელს მიღებული და გამოუყენებელი სახსრები“ შემოსავლების ანგარიშზე.

## **ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯები ფუნქციონალურ ჭრილში**

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით 2004 წლის იანვარ-ივნისში ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯები, ცენტრალური ბიუჯეტის ორგანიზაციებზე გაწეული ხარჯების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით 2004 წლის ექვს თვეში დაგეგმილი იყო 177217.2 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 143073.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიურ მაჩვენებელზე 34143.3 ათასი ლარით ნაკლები (80.7%), რაც საერთო ხარჯების 25%-ია;

თავდაცვის ღონისძიებების დაფინანსებაზე დაგეგმილი იყო 55547.6 ათასი ლარის გამოყოფა, ფაქტიურად დაფინანსდა 46652.8 ათასი ლარით ანუ დაგეგმილზე 8894.8 ათასი ლარით ნაკლები (84%), რაც საერთო ხარჯების 8.2%-ია;

საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების ხაზით დაგეგმილი იყო 123947.3 ათასი ლარის გამოყოფა, რეალურად დაფინანსებული ასიგნებების ოდენობამ შეადგინა 79996.3 ათასი ლარი ანუ დაგეგმილზე 43950.9 ათასი ლარით ნაკლები (64%), რაც საერთო ხარჯების 14%-ია;

განათლების ღონისძიებების დაფინანსებისათვის საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო 27886.8 ათასი ლარის გამოყოფა, რეალურად კი შესაძლებელი გახდა 25215.2 ათასი ლარის დაფინანსება, რაც გეგმიურ მაჩვენებელზე 2671.5 ათასი ლარით ნაკლებია (90.4%) და საერთო ხარჯების 4.4%-ს შეადგენს;

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით საანგარიშო პერიოდში გათვალისწინებულმა ასიგნებებმა შეადგინა 9399.3 ათასი ლარი. ამ მიმართულებით გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 6407.5 ათასი ლარი, ანუ დაგეგმილზე 2991.8 ლარით ნაკლები (68%), რაც საერთო ხარჯების 1%-ია;

სოციალური დაზღვევის და სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებზე დაგეგმილი იყო 61417.0 ათასი ლარის გამოყოფა, რაც რეალურად 64589.6 ათასი ლარით დაფინანსდა (105%) ანუ საერთო ხარჯების 11% შეადგინა;

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით გამოყოფილმა თანხებმა საანგარიშო პერიოდში შეადგინა 2645.3 ათასი ლარი, რაც დაგეგმილზე (2986.4 ათასი ლარი) 341.0 ათასი ლარით ნაკლებია (88.6%) და საერთო ხარჯების 0.5%-ს შეადგენს;

კულტურის, რელიგიის, სპორტის ღონისძიებების დაფინანსებისათვის საანგარიშო პერიოდში განსაზღვრული იყო 16176.5 ათასი ლარის გამოყოფა, რაც დაფინანსდა 14366.1 ათასი ლარით, ანუ გეგმაზე 1810.3 ათასი ლარით ნაკლები (88.8%), რაც საერთო ხარჯების 2.5%-ია;

სათბობ-ენერგეტიკის სფეროში საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 17780.8 ათასი ლარის გამოყოფა, რაც რეალურად დაფინანსებული იქნა 2874.7 ათასი ლარის ოდენობით, ანუ გეგმაზე 14906.1 ათასი ლარით ნაკლები (16%);

სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობის და მონადირეობის ფუნქციონალური კოდით საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო 11293.3 ათასი ლარის გამოყოფა. აქედან, რეალურად შესაძლებელი გახდა 9447.1 ათასი ლარის დაფინანსება, ანუ დაგეგმილზე 1846.2 ათასი ლარით ნაკლები (83.6%), რაც საერთო ხარჯების 1.6%-ია;

მრეწველობისა და მშენებლობის ფუნქციონალური კოდით საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო 554.9 ათასი ლარის გამოყოფა, რაც შესრულდა 342.4 ათასი ლარის ფარგლებში, ანუ დაგეგმილზე 212.4 ათასი ლარით ნაკლები (61.7%);

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ხაზით საანგარიშო პერიოდში გამოიყო 215.0 ათასი ლარი, რაც დაგეგმილ 358.7 ათას ლარზე 143.7 ათასი ლარით ნაკლებია (60%);

ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მომსახურების ფუნქციონალური კოდით დაგეგმილი იყო 1675.3 ათასი ლარის გამოყოფა, რაც რეალურად დაფინანსდა 1379.0 ათასი ლარით, ანუ დაგეგმილზე 296.3 ათასი ლარით ნაკლები (82.3%);

სხვა არაკლასიფიცირებული კატეგორიების მიხედვით გათვალისწინებულ ხარჯებზე, რომლებშიც შედის სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება, ტერიტორიული ბიუჯეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები, საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო 162817.7 ათასი ლარის გამოყოფა, საიდანაც რეალურად დაფინანსდა 174382.1 ათასი ლარი, ანუ დაგეგმილზე 11564.3 ათასი ლარით ნაკლები (107%), რაც საერთო ხარჯების 30.5%-ია.

## სპეციალური სახსრების მარვენებლების შესახებ

„საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის ვ) პუნქტის შესაბამისად, 2004 წლის 1 იანვრიდან საბიუჯეტო ორგანიზაციებს გაუუქმდათ სპეცსახსრები. კანონის მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სახაზინო სამსახურის წერილობითი მიმართვის საფუძველზე შეაჩერა სპეციალური სახსრების სალარე და სავალუტო ანგარიშებზე თანხების განთავსება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიმდინარე წლის 23 იანვრის №29 ბრძანების შესაბამისად, მოხდა საბიუჯეტო ორგანიზაციების სპეცსახსრების ანგარიშებზე რიცხული ნაშთების დაზუსტება. საბიუჯეტო ორგანიზაციების სპეცსახსრების ანგარიშზე რიცხული ნაშთების სახაზინო სამსახურის მონაცემებთან შედარების შემდგომ, საბიუჯეტო ორგანიზაციების წერილობითი დასტურისა და საგადასახადო დავალების საფუძველზე ხდება საბიუჯეტო ორგანიზაციების სპეცსახსრების ანგარიშზე 2004 წლის 1 იანვრისათვის რიცხული ნაშთების სხვა არასაგადასახადო შემოსავლების ანგარიშზე ჩარიცხვა, ხოლო მიმდინარე წელს სპეცსახსრების ანგარიშზე ჩარიცხული შემოსავლების გადატანა ცენტრალური ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლების შესაბამის ანგარიშებზე.

ამასთან, საქართველოს ეროვნულ ბანკში გაიხსნა საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის სპეციალური ანგარიშები, რომლებზეც განთავსდება პროკურატურის, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების სისტემის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად, სპეციალური სახსრების ანგარიშზე რიცხული დეპოზიტური, სატენდერო მოსაკრებლების თანხების, საბიუჯეტო ორგანიზაციების გრანტის სახით გამოყოფილი სახსრების ანგარიშგება და ანგარიშსწორება.

ზემოაღნიშნული ბრძანების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტში შესათანხმებლად წარმოდგენილი იქნა იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირების ჩამონათვალი, რომლებმაც სახაზინო სამსახურს წერილობით მომართეს კომერციულ ბანკებში ანგარიშების გახსნისათვის თანხმობის მისაღებად. „საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე, საბიუჯეტო დეპარტამენტიდან წარმოდგენილი დასკვნების საფუძველზე საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს „საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 32-ე პუნქტის თანახმად, უფლება მიეცათ ანგარიშები გაეხსნათ კომერციულ ბანკებში და ამ ანგარიშებზე გადაეტანათ სპეცსახსრების ანგარიშზე რიცხული ნაშთები.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 23 იანვრის №29 ბრძანების მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, სახაზინო სამსახურში მიმდინარეობს მუშაობა ორგანიზაციების სპეცსახსრების ანგარიშებზე რიცხული ნაშთების დასაზუსტებლად. 2004 წლის 1 ივლისისათვის დაზუსტებულია სპეცსახსრების ანგარიშებზე რიცხული ნაშთი საერთო თანხით 9728.6 ათასი ლარი.

დაზუსტებული ნაშთის თანხა შემცირდა სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტისა და რეგიონალური ხაზინების სპეცსახსრებიდან 1998-2000 წლებში ცენტრალურ ბიუჯეტში მიმართული 2290.4 ათასი ლარით, საინკასო დავალებებით სპეცსახსრებიდან ჩამოჭრილი 56.5 ათასი ლარით, სულ 2346.9 ათასი ლარი.

ამდენად, დაზუსტებული ნაშთიდან შესაბამის ანგარიშებზე გადაირიცხა 7381.7 ათასი ლარი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დაზუსტებული იქნა სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტის სპეცსახსრების სავალუტო ანგარიშებზე რიცხული ნაშთები 557.6 ათასი აშშ დოლარი, 1010.9 ათასი ევრო და 710.2 ფუნტი სტერლინგი. დაზუსტებული სავალუტო ნაშთიდან 59.0 ათასი აშშ დოლარი და 23.1 ათასი ევრო გადატანილი იქნა სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტის სპეციალურ სავალუტო ანგარიშზე. დაზუსტებულ ნაშთს გაუკეთდა კონვერტაცია ეროვნულ ვალუტაში და მიიმართა შესაბამის ანგარიშებზე.

ამასთან, სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტის სპეციალური სავალუტო და სალარე ანგარიშებზე რიცხული პროკურატურის დეპოზიტებიდან, პროკურატურის წერილობითი მიმართვისა და საგადახლო დავალებების საფუძველზე, ცენტრალური ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლებში მიიმართა 10562.0 ათასი ლარი.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სპეცსახსრების ანგარიშების გაუქმების გამო და ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციების მიერ გაწეული ფასიანი მომსახურებიდან მიღებული სახსრების მიმართვა ხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლებში, რომელზეც ორგანიზაციებს ერიცხებათ გადასახადები და ფაქტიურად მოკლებული არიან ყოველგვარ შესაძლებლობას მოახდინონ დარიცხული გადასახადების და საგადასახადო ორგანოების მიერ მათზე დარიცხული საურავების გადახდა. საკითხის შემდგომში დარეგულირების მიზნით გამოიცა ფინანსთა მინისტრის მიმდინარე წლის 14 მაისის №331 ბრძანება „ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გაწეული ფასიანი მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების ბიუჯეტში ანგარიშსწორების წესის შესახებ“, რომლის თანახმად ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა ორგანიზაციებმა, რომელთა მიერ გაწეული მომსახურება საგადასახადო კოდექსის მიხედვით იბეგრება გადასახადებით, მიღებული სახსრები გადასახადების დეკლარირებამდე უნდა განათავსონ ეროვნულ ბანკში გახსნილ სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტისა და რეგიონალურ ხაზინებში გახსნილ სპეციალურ ანგარიშებზე, საიდანაც ორგანიზაციების მიერ წარდგენილი საგადახლო დავალების საფუძველზე მოხდება ბიუჯეტში კუთვნილი გადასახადების

გადახდა, ხოლო გადასახადების გადახდის შემდგომ დარჩენილი თანხა მიიმართება ცენტრალური ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლებში.

## **ღონორების მიერ დაფინანსებული საბიუჯეტო ორგანიზაციების შემოსულობებიდან (ფულადი გრანტები) გაწეული ხარჯების შესახებ**

ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ღონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობების (ფულადი გრანტების) განთავსება ხდება სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტში და რეგიონალურ ხაზინებში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე. ამ ანგარიშებზე გრანტის სახით მიღებული შემოსავლების ხარჯვა ხორციელდება „საბიუჯეტო ორგანიზაციების და სპეციალური სახელმწიფო ფონდებისათვის ღონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობების (ფულადი გრანტების) აღრიცხვის და ხარჯვის წესის“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 27 თებერვლის №99 ბრძანებით განსაზღვრული წესის თანახმად.

2004 წლის ექვს თვეში ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისათვის ღონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობებიდან (ფულადი გრანტები) გასაწევი ხარჯები დაიგეგმა სულ 2387.0 ათასი ლარით (ცენტრალური საარჩევნო კომისია – 16.4 ათასი ლარი; განათლების სამინისტროს – 113.5 ათასი ლარი; იუსტიციის სამინისტროს – 18.4 ათასი ლარი; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს – 54.7 ათასი ლარი; ფინანსთა სამინისტროს – 1924.2 ათასი ლარი; ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტს – 9.4 ათასი ლარი; სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს – 165.1 ათასი ლარი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას – 85.2 ათასი ლარი). შემოსულობებიდან გასაწევი ხარჯები, ცალკეული ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით დაიგეგმა: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებისათვის – 1844.4 ათასი ლარი; მივლინებებისათვის – 31.0 ათასი ლარი; სხვა საქონელი და მომსახურების მუხლიდან – 67.8 ათასი ლარი; სუბსიდიები და მიმდინარე ტრანსფერტებიდან – 86.1 ათასი ლარი, ხოლო კაპიტალური ხარჯებიდან – 357.7 ათასი ლარი.

ღონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობებიდან გაწეულმა ხარჯებმა საანგარიშო პერიოდში შეადგინა 2222.2 ათასი ლარი (ცენტრალური საარჩევნო კომისია – 16.2 ათასი ლარი; განათლების სამინისტრო – 65.2 ათასი ლარი; იუსტიციის სამინისტრო – 18.4 ათასი ლარი; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო – 53.5 ათასი ლარი; ფინანსთა სამინისტრო – 1835.2 ათასი ლარი; ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტი – 9.3 ათასი ლარი; სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი – 154.9 ათასი ლარი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემია – 69.4 ათასი ლარი). შემოსულობებიდან გასაწევმა ხარჯებმა, ცალკეული ხარჯვითი



კატეგორიების მიხედვით შეადგინა: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებისათვის – 1818.1 ათასი ლარი; მივლინებებისათვის – 30.5 ათასი ლარი; სხვა საქონელი და მომსახურების მუხლიდან – 58.1 ათასი ლარი; სუბსიდიები და მიმდინარე ტრანსფერებიდან – 46.2 ათასი ლარი, ხოლო კაპიტალური ხარჯებიდან – 269.3 ათასი ლარი.

## საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

„საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი განისაზღვრა 10000.0 ათასი ლარით. 2004 წლის იანვარ-ივნისში საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ოდენობამ შეადგინა 32199.1 ათასი ლარი, რაც 22199.1 ათასი ლარით აღემატება კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელს, რომლის დაზუსტებაც საჭიროებს „საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანას.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფინანსებული იქნა 29870.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 92.8%. ააქედან: 450.0 ათასი ლარი გადაირიცხა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში ტრანსფერის სახით; სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს–ზ.საკანდელიძის ოჯახის ფინანსური დახმარებისთვის–5.0 ათასი ლარი; ანტიკორუფციულ ბიუროს–101.2 ათასი ლარი; სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს– მ. ქორქიას ოჯახის ფინანსური დახმარებისთვის–5.0 ათასი ლარი; ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატს–21.1 ათასი ლარი; თავდაცვის სამინისტროს „ნატო“-სთან ინტეგრაციის ღონისძიებებისათვის–11181.7 ათასი ლარი; შსს-ს ცენტრალურ აპარატს–14188.3 ათასი ლარი; საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს–865.3 ათასი ლარი; მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს კ. წერეთლის ოჯახის ფინანსური დახმარებისათვის–5.0 ათასი ლარი; კულტურის სამინისტროს აპარატს ჟურნალისტ ი. გოცირიძის ოჯახის ფინანსური დახმარებისათვის–5.0 ათასი ლარი; სოფლის მეურნეობის სამინისტროს (ხორბლის შესასყიდლად)–575.4 ათასი ლარი; სოფლის მეურნეობის სამინისტროს (ცხინვალის რეგიონის მოსახლეობისათვის სასუქის შესაძენად)–270.0 ათასი ლარი; სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურს–11.5 ათასი ლარი; სოფლის მეურნეობის სამინისტროს (აჭარის ა/რ მაღალმთიანი რ-ნის მოსახლეობისათვის სასუქის შეძენისა და მოსახლეობისათვის უსასყიდლოდ გადაცემა-განაწილების მიზნით)–299.9 ათასი ლარი; სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს–542.0 ათასი ლარი; უშიშროების სამინისტროს–1344.0 ათასი ლარი.

## წინა პერიოდის დავალიანებათა დაფარვა

„საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით წინა პერიოდის დავალიანების დასაფარავად გამოყოფილი ასიგნებების ოდენობა 42.0 მლნ ლარით განისაზღვრა. აღნიშნული თანხიდან საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით იანვარ-ივნისში ცალკეულ ღონისძიებებზე და ორგანიზაციებზე გადანაწილებული ასიგნებების ოდენობამ 32934.3 ათასი ლარი შეადგინა. აქედან, საანგარიშო პერიოდში რეალურად დაფარული იქნა 29929.6 ათასი ლარი. მათ შორის:

- შრომის ანაზღაურების მუხლით გამოყოფილი იქნა 10805.2 ათასი ლარი, რეალურად დაფარული იქნა 10778.1 ათასი ლარი;
- დამქირავებლიდან ანარიცხების მუხლით გამოიყო 1929.9 ათასი ლარი, საიდანაც დაიფარა 1898.5 ათასი ლარი;
- სხვა საქონელი და მომსახურების მუხლიდან გამოიყო 7107.6 ათასი ლარი, ფაქტიურად დაიფარა 4312.0 ათასი ლარი;
- მივლინების მუხლით გამოყოფილი იქნა 33.3 ათასი ლარი, რაც ფაქტიურად სრულად დაფინანსდა;
- სუბსიდიები და მიმდინარე ტრანსფერების მუხლით გამოყოფილი იქნა 13058.3 ათასი ლარი, საიდანაც ფაქტიურად დაფინანსდა 12907.7 ათასი ლარი. 3

გარდა ზემოაღნიშნულისა, „ზოგიერთი საბიუჯეტო ხარჯის დაფინანსების დამატებითი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის მიმდინარე წლის 26 აპრილის №348 განკარგულების თანახმად დამატებით წინა პერიოდის დავალიანების დასაფარავად გამოყოფილი ასიგნების ოდენობამ 20678.2 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის: განათლების მუშაკთა წინა პერიოდის სახელფასო დავალიანების დასაფარავად გამოიყო 1432.6 ათასი ლარი; ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ტრანსფერის სახით გადაირიცხა 3245.6 ათასი ლარი; საპენსიო ფონდის წინა პერიოდის დავალიანების დასაფარავად კი გადაირიცხა 16000.0 ათასი ლარი.

## საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შემოსავლები საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერისა და ცენტრალური ბიუჯეტის საბიუჯეტო ორგანიზაციების დამქირავებლიდან ანარიცხების გათვალისწინებით 2004 წლის იანვარ-ივნისში განისაზღვრა 198348.9 ათასი ლარით, საიდანაც ფაქტიურად მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 209586.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის 106% (ეს მონაცემები არ მოიცავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო

ფონდის შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებმაც წინასწარი ინფორმაციით შეადგინა 6067.1 ათასი ლარი).

ცენტრალური ბიუჯეტიდან სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა ტრანსფერების სახით მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში მიიღო 30977.0 ათასი ლარი. მათ შორის: ტრანსფერი უმწვეოთა სოციალურ (ოჯახების) დახმარებაზე 7200.0 ათასი ლარი.

იურიდიული პირების (დამქირავებლის) და მოქალაქეთა სოციალური გადასახადებიდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური ანარიცხების გარეშე, სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა მიიღო 168947.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (167913.9 ათასი ლარი) 101%-ს შეადგენს. ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებიდან გადმოცემულმა თანხებმა შეადგინა 4261.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის (3835.0 ათასი ლარი) 111%; წინა წლებში გაცემული პენსიების მობრუნებულმა თანხებმა შეადგინა 2.4 ათასი ლარი, ხოლო გაურკვეველმა შემოსავლებმა 1.0 ათასი ლარი.

2004 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ანგარიშზე არსებულმა გარდამავალმა ნაშთმა შეადგინა 5396.9 ათასი ლარი.

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში გაწეულმა ხარჯებმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მონაცემების გარეშე შეადგინა 193782.9 ათასი ლარი, ანუ დაგეგმილ (214691.0 ათასი ლარი) ოდენობაზე 20908.1 ათასი ლარით ნაკლები (90%).

აქედან, 1. სოციალური დაცვის პროგრამების ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 145397.0 ათასი ლარი, ანუ გეგმით გათვალისწინებულ (159374.5 ათასი ლარი) მაჩვენებელზე 13977.5 ათასი ლარით ნაკლები (91%); მათ შორის:

ა) პენსიონერთა პენსიებმა შეადგინა 135213.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის (144833.0 ათასი ლარი) 93%;

ბ) დროებით შრომისუუნარობასთან დაკავშირებულ დახმარებებზე მიიძღრათა 1762.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (1775.0 ათასი ლარი) 99%-ია;

გ) უმწვეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახთა დახმარებებზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 6326.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (9890.0 ათასი ლარი) 64%-ს შეადგენს;

დ) 9 აპრილს დაღუპულ პირთა ოჯახების დახმარების პროგრამაზე მიიძღრათა 22.2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის (22.2 ათასი ლარი) 100%;

ე) პენსიებისა და დახმარებების გაცემის მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 2072.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის (2854.3 ათასი ლარი) 73%.

2. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 42174.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის (46867.0 ათასი ლარი) 90%. მათ შორის:

ა) მოსახლეობის ამბულატორიული დახმარების სახელმწიფო პროგრამაზე გამოიყო 6900.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური (7125.0 ათასი ლარი) მაჩვენებლის 97%;

ბ) მოსახლეობის სტაციონალური დახმარების სახელმწიფო პროგრამაზე მიიმართა 22816.0 ათასი ლარი, ანუ დაგეგმილი (25535.0 ათასი ლარი) ოდენობის 89%;

გ) მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამაზე მიიმართა 5904.2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის (6707.0 ათასი ლარი) 88%;

დ) ჯანდაცვის პროგრამებში წინა პერიოდში წარმოქმნილი დაავადებების დასაფარავად გამოიყო 6554.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის (7500.0 ათასი ლარი) 87%.

3. შშმპ სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის პროგრამაზე მიიმართა 1685.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის (2387.5 ათასი ლარი) 71%.

4. საორგანიზაციო და ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსებაზე მიიმართა 3592.9 ათასი ლარი, ანუ დაგეგმილ (4700.0 ათასი ლარი) ოდენობაზე 1107.1 ათასი ლარით ნაკლები (76%).

5. უმუშევრობის სოციალური დაცვის და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამაზე გამოიყო 551.1 ათასი ლარი, ანუ დაგეგმილ (902.0 ათასი ლარი) მაჩვენებელზე 350.8 ათასი ლარით ნაკლები (61%).

6. დასაქმების სახელმწიფო სამსახურის საორგანიზაციო და ადმინისტრაციულმა ხარჯებმა შეადგინა 382.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის (460.0 ათასი ლარი) 83%.

## საქართველოს ერთიანი სახელმწიფო საგზაო ფონდი

საქართველოს ერთიანი სახელმწიფო საგზაო ფონდის შემოსავლების გეგმიური მოცულობა 2004 წლის იანვარ-ივნისში განისაზღვრა 29074.2 ათასი ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდში საგზაო ფონდში მობილიზებული სულ შემოსავლების ოდენობამ შეადგინა 34992.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 120%. აქედან: შემოსავლებმა (საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლები) შეადგინეს 33259.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (29074.2 ათასი ლარი) 114%-ია; გაურკვეველმა შემოსავალმა შეადგინა 37.0 ათასი ლარი; ხოლო 2004 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებულმა საწყისმა ნაშთმა შეადგინა 1695.8 ათასი ლარი (ეროვნული ბანკის მიერ შეტანილი შესწორების შესაბამისად საგზაო ფონდის საწყისი ნაშთი გაიზარდა 18.3 ათასი ლარით).

ექიმდინარე წლის იანვარ-ივნისში ფაქტიურად საგზაო ფონდის მიერ გაწეული ხარჯების მოცულობამ შეადგინა 20434.1 ათასი ლარი, ანუ დაგეგმილ ოდენობაზე (27830.4 ათასი ლარი) 7396.3 ათასი ლარით ნაკლები (73%).

მათ შორის:

1. გზების მოვლა-შენახვაზე (მიმდინარე და პერიოდული შეკეთება და ზამთრის შენახვა) გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 7378.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის (11377.7 ათასი ლარი) 65%. ააქედან:

ა) გზების პერიოდულ შეკეთებასა და რეაბილიტაციაზე მიიძღრთა 1749.2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის (3027.7 ათასი ლარი) 58%;

ბ) გზების მიმდინარე შეკეთებაზე გამოიყო 3531.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (5885.0 ათასი ლარი) 60%-ს შეადგენს;

გ) გზების შენახვაზე ზამთრის პერიოდში გამოიყო 1400.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის (1400.0 ათასი ლარი) 100%;

დ) სხვა დანარჩენმა ხარჯებმა შეადგინა 698.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის (1065.0 ათასი ლარი) 66%.

2. მსოფლიო ბანკისა და კუვეიტის ფონდის კრედიტებით შესრულებული სამუშაოების თანამონაწილეობის ხარჯებმა შეადგინა 831.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის (2800.0 ათასი ლარი) 30%. ააქედან:

ა) მსოფლიო ბანკის კრედიტმა შეადგინა 661.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო პარამეტრის (2000.0 ათასი ლარი) 33%-ია;

ბ) კუვეიტის ფონდის კრედიტმა შეადგინა 170.0 ათასი ლარი, საპროგნოზო პარამეტრის (800.0 ათასი ლარი) 21%;

3. უცხოური კრედიტების ძირითადი თანხებისა და მომსახურების პროცენტების სახით გაწეული იქნა ხარჯი 3968.1 ათასი ლარის ოდენობით, ანუ დაგეგმილი ოდენობის (4960.0 ათასი ლარი) 80%. ააქედან:

ა) მსოფლიო ბანკის კრედიტის ძირითადი თანხისა და მომსახურების პროცენტების სახით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 3259.2 ათასი ლარი, ანუ დაგეგმილი ოდენობის (3345.0 ათასი ლარი) 97%;

ბ) მსოფლიო ბანკის კრედიტის ათვისებულ ნაწილზე მომსახურების პროცენტის სახით გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 316.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის (800.0 ათასი ლარი) 40%;

გ) კუვეიტის ფონდის კრედიტის ძირითადი თანხისა და მომსახურების პროცენტების სახით გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 392.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის (815.0 ათასი ლარი) 48%;

4. წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის დაფარვისათვის მიიძღრთა 5547.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის (5600.0 ათასი ლარი) 99%;

5. საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქვეუწყებო დაწესებულებების აპარატის შენახვის ხარჯებმა შეადგინა 558.3 ათასი ლარი, ანუ დაგეგმილი ოდენობის (558.3 ათასი ლარი) 100%;

6. სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ხარჯებმა შეადგინა 409.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის (409.4 ათასი ლარი) 100%;
7. სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელ სამუშაოებზე მიიმართა 1698.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2000.0 ათასი ლარი) 85%-ია;
8. კრედიტებისა და გრანტების მომსახურების ხარჯებმა შეადგინა 43.5 ათასი ლარი, ანუ დაგეგმილზე (125.0 ათასი ლარი) 81.4 ათასი ლარით ნაკლები (35%).

ამდენად, 2004 წლის იანვარ-ივნისში საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 17 ოქტომბრის №1307 განკარგულებით დამტკიცებული „ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების კონტროლი ვალდებულებისა და დამოწმების მეშვეობით“ ინსტრუქციის შესაბამისად, ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი და სახაზინო სამსახურის მიერ რეგისტრირებული ვალდებულება-დამოწმების დოკუმენტების თანახმად განხორციელდა ორგანიზაციების ხარჯების სრულად დაფინანსება.

2004 წლის პირველი ნახევრის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების შესრულების წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული მონაცემების საფუძველზე.